

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ირინე ანზორის ასული ჩაჩანიძე

ენობრივი სიტუაციის პროლეგა
მე-20 საუკუნის სოციოლინგვისტიკაში

10.02.02 – ენათმეცნიერების თეორია და ისტორია

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა მ ტ ო რ ე შ ე რ ა ტ ი

თბილისი
2005

მეცნიერული მეთოდები. რადგანაც ნაშრომი ფაქტობრივ ენათმეცნიერების ისტორიის სფეროს ეკუთვნის, გამოყენებულია იგივე მეთოდები, რომლებიც წარმოდგენილია განხილული სამეცნიერო მიდგომების უკიდრით შესრულებულ გამოკვლევებში.

ნაშრომის აპრობაცია. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები წარმოდგენილია სტატიებში. ნაშრომი განხილული, მოწონებული და რეკომენდებულია დასაცავად აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის 2005 წლის 15 ივნისის (ოქმი № 7) სხდომაზე.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. ნაშრომი შეადგენს კომპიუტერზე აკრებულ 111 გვერდს. მისი სტრუქტურა შემდეგნაირია: შესავალი, ორი თავი (თითოეული მათგანი დაყოფილია პარაგრაფებად) და დასკვნა, რასაც ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია და სარჩევი.

ნაშრომის შინაარსი

შესავალი

საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ადამიანი ენობრივი არსებაა (ე. ფონ პუბოლდგი), კაცობრიობის ისტორიაში დადასტურებულ სხვა მრავალ შემთხვევასთან ერთად მე-20 საუკუნეში წარმოებული ორი მსოფლიო ომისა და ე.წ. "სოციალისტური ბანაკის" დაშლის შედეგად განვითარებულ მოვლენებში ძალუძად გამოვლინდა: ამ მოვლენებში ენობრივი კომპონენტი უდიდესი მასშტაბით იყო და არის წარმოდგენილი. ამ მასშტაბურობის მიზეზი ხსენებული პერიპეტეების შედეგად დაწყებული პოლიტიკური პროცესები გახლდათ, რომელთაც თან სდევდა ახალი სახელმწიფოების შექმნა. ახალ სახელმწიფოებში მრავალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური პრობლემა იყო

მოსაგვარებელი; მათ შორის უკანასკნელ ადგილს არ იკავებდა ენობრივი პრობლემები. მათ გადასაჭრელად აუცილებელი იყო იქ არსებული ენობრივი სიტუაციის შესწავლა და შესაბამისი შედეგების საფუძველზე სათანადო ენობრივი პოლიტიკის გაგარება. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ენობრივი სიტუაციის კვლევა სოციოლინგვისტიკის მიერ ინიცირებული არ ყოფილა; ჩვენი აზრით, საკითხის აქტუალურობამ თავისთავად მიიყვანა პოლიტიკოსებიცა და მეცნიერებიც მისი შესწავლის აუცილებლობის გაცნობიერებაზე. მიუხედავად ამისა, სოციოლინგვისტიკის, როგორც ენისა და საზოგადოების ურთიერთობაზე ორიენტირებული სპეციალიზებული საენათმეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბებაზე ენობრივი სიტუაციისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა მოკლებული იყო სისტემურობასა და თანამიმდევრულობას, რაც გამოიხატებოდა ადეკვატური მეთოდების უქონლობაში, ერთიანი კრიტერიუმების დაუდგენლობაში, გერმინოლოგიურ ბუნდოვანებაში; ყველაფერ ამას, რა თქმა უნდა, არაობიექტურ შედეგამდე მიყვავდით. ძნელი სათქმელია, რომ თანამედროვე სოციოლინგვისტიკამ ყველა ეს შიდადარგობრივი მეთოდური პრობლემა გადაჭრა, თუმცა ის კი ფაქტია, რომ უკვე მკაფიოდაა ჩამოყალიბებული სათანადო ცნებითი აპარატი და შესაბამის გერმინთა სისტემა, არსებობს რამდენიმე, ერთმანეთისაგან თვისებრივად განსხვავებული, მაგრამ ერთმანეთის შემავსებელი მიდგომა და ა. შ.

თავი I

ენობრივი სიტუაცია და მისი კომპონენტები

§ 1. ენობრივი სიტუაცია: განმარტებები

როდესაც ენობრივი სიტუაციის შესწავლის სოციოლინგვისტიკამდელ ცდებზე საუბრობენ, ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს (და სავსებით სამართლიანადაც), რომ ამ საკითხით ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 20-იან-30-იან წლებში იყვნენ დაინტერესებული მეცნიერები, როდესაც რამდენიმე

პოსტკოლონიური ქვეყნის ენობრივი პრობლემების მოგვარებას ცდილობდნენ (სხვათა შორის, არათუ პოსტკოლონიური, არამედ, პირიქით, თვითმპყრობლური მიზნების უკეთ განხორციელებისათვის საბჭოთა კავშირშიც ინტერესდებოდნენ ამ საკითხებით). თუმცა ისე არ უნდა გავივოთ, თითქოს მანამდე არაეინ შეხებია ხსენებულ თემას. რადგანაც ენობრივი სიტუაციისათვის ერთ-ერთი არსებითი პირობაა ენათა თანაარსებობა და ურთიერთქმედება მოცემულ საზოგადოებაში, ამიგომ გვაქვს ინტერესთა დამთხვევის რამდენიმე შემთხვევა ენობრივი სიტუაციისა და ენათა კონტაქტების შესწავლას შორის; ეს ჩანს იმაშიც, თუ როგორ ვითარდებოდა ეს უკანასკნელი სფერო და მისი არსებითი ცნებები: 50-იანი წლების დასაწყისში ტერმინი "ენათა შერევა" შეიცვალა ტერმინით "ენათა კონტაქტები", რომელიც ენათმეცნიერებაში ა. მარტინემ შემოიტანა. ამის პარალელურად რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში შემოიღეს ისეთი ტერმინები, როგორებიცაა "ენათა ურთიერთგავლენა", "ენათა ურთიერთქმედება". მთავარია იმის გახაზვა, რომ კონტაქტში მყოფი ენები რომელიმე, ერთ საზოგადოებაში თანაარსებობენ.

სოციოლინგვისტიკა ყველაზე შესაფერისი დისციპლინა გამოდგა ენობრივი სიტუაციის ფენომენის შესასწავლად; ეს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული და განხორციელებული სამეცნიერო პროექტებით დასტურდება. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ვიგყვით იმას, რომ სოციოლინგვისტიკას მონოპოლიური უფლებები აქვს ხსენებული საკითხის კვლევის მიმართ. აღნიშნულის კარგი დადასტურებაა ისეთი საენათმეცნიერო დისციპლინა, როგორიცაა გოლინგვისტიკა, თუმცა, როდესაც ენობრივი სიტუაციის სოციოლინგვისტიკურ მახასიათებლებს ვეხებით, გოლინგვისტიკაში ჩამოყალიბებული მიდგომები ძნელად თუ გამოგვაღებება.

ამერიკელი მეცნიერი ჩ. ფერგიუსონი გახლდათ პირველი სოციოლინგვისტი, რომელმაც მოგვცა ენობრივი სიტუაციის ალექვატური განმარტება და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ამ

განმარტებას დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა: "ტერმინი "ენობრივი სიტუაცია" აღნიშნავს ენის გამოყენების საერთო კონფიგურაციას მოცემულ დროსა და მოცემულ ადგილზე და მოიცავს ისეთ მონაცემებს, როგორებიცაა, რამდენი ენა და რომელი ენები გამოიყენება მოცემულ არეალში, რამდენი ალაშიანი ლაპარაკობს მათზე, რა ვითარებაში, რა განწყობები და დამოკიდებულებები აქვთ მოცემული საზოგადოების წევრებს ამ ენების მიმართ" (ფერგიუსონი, 1971, გვ. 157). აქ წარმოდგენილი დეფინიცია კომპაქტური სახით გადმოგვცემს მეოცე საუკუნის სოციოლინგვისტიკაში განვითარებული და ჩამოყალიბებული ენობრივი სიტუაციის სოციოლინგვისტიკური კონსეფუციის თითქმის ყველა ძირითად დებულებას.

§ 2. "ენის მდგომარეობა" როგორც სოციოლინგვისტიკური კატეგორია

ისეთ მოვლენაში, როგორიცაა ენობრივი სიტუაცია, სოციოლინგვისტიკებს, უპირველეს ყოვლისა, მისი რთული შედგენილობა აინტერესებთ, სირთულე კი ძირითადად ერთზე მეტი ენის თანაარსებობით არის განპირობებული, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთენოვანი სიტუაციები აუცილებლად მარტივი იქნება. საერთოდ, სოციოლინგვისტიკას ერთნაირად აინტერესებს ენის როგორც გარეგანი, ისე შინაგანი სტრუქტურები, განსაკუთრებით მათი ურთიერთობისა და ურთიერთქმედების ასპექტში. სწორედ ენის შინაგანი და გარეგანი მხარეების ურთიერთკავშირს უწოდა რუსმა მეცნიერმა გ. სტეპანოვმა "ენის მდგომარეობა". ავტორის აზრით, ენის მდგომარეობა ენობრივ და არაენობრივ ფაქტორთა ბალანსირებული ურთიერთქმედების ერთგვარი შედეგია; თავისი განვითარების რომელიმე ეტაპზე ამა თუ იმ კონკრეტული ენის მდგომარეობა შეპირობებულია მისი შინაგანი სტრუქტურისა და გარეგანი სისტემის მთლიანობით; ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, მოიცავს ქვესისტემების მთელ კომპლექსს. გამოდის, რომ ენის მდგომარეობა ის ერთ-ერთი

ამოსავალი ცნებაა, რისი გათვალისწინების გარეშე მოცემული ენობრივი სიგუაყიის შესწავლის დაწყებაც კი არ ღირს.

შეიძლება ითქვას, რომ ენის მდგომარეობის ცნება ფაქტობრივად ენობრივი სიგუაყიის უფრო ვიწრო გაგებას წარმოადგენს; მისი არსი მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: ენის სახესხვაობათა ერთობლიობა, რომლის კომპონენტებსაც წარმოადგენს ფუნქციური სტილები, არსებობისა და რეალიზაციის ფორმები. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ ენობრივი სიგუაყია არის სხვადასხვა ენის ან ერთი ენის მდგომარეობის სხვადასხვა კომპონენტის სივრცითი და სოციალური ურთიერთქმედება.

ჩვენი ამრით, ენის მდგომარეობის ცნება ვერ დამუშავდა სათანადო დონეზე, რის გამოც მასზე მხოლოდ თავიანთი ნაშრომების სამეცნიერო აპარატის გამართულობისათვის თუ მიუთითებდნენ მე-20 საუკუნის რუსი სოციოლინგვისტები.

§ 3. ენობრივი ანუ სამეცნიერო ერთობა

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ პარაგრაფის სათაურში დაფიქსირებული "ანუ" გამოწვეულია ამ შემთხვევაში 'ენობრივისა' და 'სამეცნიეროს' შორის პრინციპული განსხვავების არარსებობით. როდესაც დიალექტოლოგები შეისწავლიან მოცემული დიალექტის თავისებურებებს, მათ განსაზღვრული აქვთ ის გეოგრაფიული არეალი, რომლის ფარგლებშიც უნდა აწარმოონ კვლევა. ასევეა საჭირო ენობრივი სიგუაყიის შესწავლისას: უნდა გაირკვეს ის გეოგრაფიული, პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული ოდენობა, რომლის ფარგლებშიც ვაფიქსირებთ მოცემულ ენობრივ სიგუაყიას. ასეთ ოდენობას სოციოლინგვისტიკაში წარმოადგენს ენობრივი ანუ სამეცნიერო ერთობა. იგი თარგმანი ინგლისური ტერმინისა linguistic or speech community (community ქართულად შეიძლება ითარგმნოს როგორც 'თემი, საზოგადოება, ერთობა'). რუსულ სოციოლინგვისტურ პუბლიკაციებში აღნიშნულს ბაღდად ჭარბობს ტერმინი 'ენობრივი კოლექტივი, სამეცნიერო კოლექტივი'.

§ 4. ბილინგვიზმი და დიგლოსია

ბილინგვიზმი და დიგლოსია ენობრივი სიგუაყიის საკვანძო კომპონენტებია. წინამდებარე ნაშრომში განსახილველი პრობლემის კვლევის დროს ზემოხსენებულ ორ მოვლენას ვერანაირად ვერ აუვლით გვერდს. საერთოდ, ბილინგვიზმის (ლათ. bi- – ორმაგი და lingua – ენა) ანუ ორენოვნების ყველაზე ზოგადი დეფინიცია შეიძლება შემდეგნაირად ელერდეს: ორი (ან რამდენიმე) ენის გამოყენება ერთი და იმავე ენობრივი ერთობის წევრთა მიერ სხვადასხვა საკომუნიკაციო სიგუაყიაში. დაახლოებით ასეთია ბილინგვიზმის კლასიკური, თავდაპირველი განმარტება, რომელიც შემოგვთავაზა ამერიკელმა მეცნიერმა უ. ვაინრაიხმა, რომლის ნაშრომი, "ენათა კონტაქტები" სამართლიანად ითვლება ორენოვნების ფუნდამენტურ სახელმძღვანელოდ. ტერმინები "ერთენოვნება (მონოლინგვიზმი)", "ორენოვნება (ბილინგვიზმი)" და "მრავალენოვნება (მულტილინგვიზმი)" ზოგჯერ მთელს სახელმწიფოსთან მიმართებაში იხმარება, ზოგჯერ რომელიმე საზოგადოებასთან მიმართებაში, ზოგჯერ კი სულაც იმ ინდივიდის მიმართ, რომელიც ერთ, ორ ან მეტ ენას ფლობს. ბუნებრივია, რომ სოციოლინგვისტიკისა და, კერძოდ, ენობრივი სიგუაყიის შესწავლისათვის ეს უკანასკნელი შემთხვევა საინტერესო ვერ იქნება. ტერმინ "დიგლოსიის" (ბერძნ. di- – ორჯერ და glōssa – ენა) შემოღება და შესაბამისი ცნების განმარტება-დადგენა მიეწერება ამერიკელ მეცნიერს ჩარლზ ფერგიუსონს, რომელიც ამბობს, რომ "დიგლოსია წარმოადგენს შედარებით სტაბილურ ენობრივ სიგუაყიას, რომელშიც ენის პირველადს დიალექტებთან (მათ შორის შეიძლება იყოს ენობრივი სტანდარტი ან რეგიონალური სტანდარტები) ერთად არსებობს ძალიან განსხვავებული, უაღრესად კოდიფიცირებული (ხშირად გრამატიკულად ძალიან რთული) ვარიანტი, რომელიც უმეტესწილად სამწერლო ენად გამოიყენება ან გამოიყენებოდა წინა პერიოდში ან სხვა სამეცნიერო ერთობაში, და რომელსაც ძირითადად ითვისებენ სასწავლო დაწესებულებებში და გამოიყენება წერიითი და ოფიციალური მიზნებით, ოღონდ არ მოიხმარება